



ბანათლების ხარისხის მანვიტარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის  
შესახებ**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**

**გეოლოგია, ბაკალავრიატი**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ): 15-16 აპრილი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

21 ივნისი, 2021 წელი

თბილისი, 2021

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გეოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	გეოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული / აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული /ახალი /საერთაშორისო აკრედიტაცია)შესაბამისი გადანაცვების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადანაცვლება No 430, 24.09.2012

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	არჩილ მაღალაშვილი, სსიპ - ილიას სახ. უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კახა ქოიავა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი,

<sup>1</sup>ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)

საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ოთხ წლიანი ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა “გეოლოგია”, აკრედიტაცია მიღებული აქვს 2012 წელს. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. თითოეული სემესტრის მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს. პროგრამა გრძელდება 8 სემესტრი, თითოეული სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან 16 კვირა სასწავლო პროცესი, მე-17-ე კვირა ეთმობა დოკუმენტური მასალის ჩაბარებას, მე-18-19 კვირებში ტარდება დასკვნითი გამოცდა, ხოლო მე-20 კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, აქედან 222 კრედიტი ეთმობა ძირითად კურსებს, ხოლო 18 კრედიტი - თავისუფალ კომპონენტებს.

პროგრამა ითვალისწინებს ორ კონცენტრაციას:

**კონცენტრაცია 1.** მყარი სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია (30 კრედიტი);

**კონცენტრაცია 2.** ჰიდროგეოლოგია (30 კრედიტი).

თითოეული კონცენტრაცია 30 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს 10 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომისთვის.

პროგრამა ხორციელდება სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

რეაკრედიტაციის მიზნით წარდგენილ სასწავლო პროგრამაში თანამედროვე ტენდენციების, შრომითი ბაზრის და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეტანილია მტელი რიგი ცვლილებები, განახლდა პროგრამის მიზნები, დაიხვეწა სწავლის შედეგები და სტრუქტურა, შემუშავდა პროგრამის რუკა და სხვ.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებას სპეციალური განხორციელების გეგმის საფუძველზე ეწეოდა 2021 წლის 7 აპრილის N 333957 ბრძანების შესაბამისად, რომლის მიხედვით განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ა) არჩილ მაღალაშვილი (თავმჯდომარე); ბ) კახა ქოიავა (წევრი); გ) თამთა ცხოვრებაძე (წევრი); დ) თათია უბერი (წევრი).

აკრედიტაციის ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა - 2021 წლის 15 და 16 აპრილს. აკრედიტაციის პროცესის ძირითადი ნაწილი მიმდინარეობდა დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა “Zoom Video Communications”) მეშვეობით. დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა, როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფით, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის თუ დამაბუსტებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმით. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების პროცესის განმავლობაში განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. ვიზიტი ასევე მოიცავდა:

შეხვედრას დანესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და სამსახურის სხვა წარმომადგენლებთან; ინტერვიუს თვითშეფასების ჯგუფთან პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების პროცესის შესახებ და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით; ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუ შედგა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. შეხვედრები მოიცავდა აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას. შეხვედრა აგრეთვე განხორციელდა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან; შედგა ინტერვიუ დამსაქმებლებთან. დანესებულებაში, ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეტალური დათვალიერება; ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ძირითადი იგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოლოგია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. კერძოდ:

**სტანდარტი 1.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.1. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სტანდარტი 2.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობასია მოთხოვნებთან;

2.5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობასია მოთხოვნებთან;

2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობასია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 3.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა არ შეფასებულა, რადგან წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა, შესაბამისად არ საჭიროებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებს.

**სტანდარტი 4.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობასია მოთხოვნებთან;

4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობასია მოთხოვნებთან;

4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობასია მოთხოვნებთან;

4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 5.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

## **რეკომენდაციები**

### **სტანდარტი 1**

1. ამოღებულ იქნას პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტიდან ფრაზა “...ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს ჩათვლით”.

### **სტანდარტი 2**

1. სასწავლო კურსს “გეოლოგიის ეკონომიკა” განესაზღვროს წინაპირობა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
2. კურსი “შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში” (GIS), რომელიც ისწავლება თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში გახდეს სავალდებულო.

## **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

### **რჩევა 1.1 სტანდარტთან მიმართებით:**

სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით

გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმი იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ჩართვა სასწავლო პროცესში.

**რჩევა 1.2 სტანდარტთან მიმართებით:**

სასურველია, შემუშავდეს და დაინერგოს დისტანციური ზონდირების შესავალი კურსი, რაც წარმოადგენს თანამედროვე კვლევების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

**რჩევა 2.2 სტანდარტთან მიმართებით:**

სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და მისცეს მათ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი)წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს, აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამ შემთხვევაში კი, სასურველია, სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნული დარჩენილი კრედიტები, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე.

**რჩევა 4.1 სტანდარტთან მიმართებით:**

სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის დატვირთვის სქემის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვანი წარმართვის, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად. პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვის მეთოდოლოგია და პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს პერსონალის დატვირთვის და ვალდებულებებს სხვა დაწესებულებების მიმართ. სასურველია ასევე განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელზე სტუდენტების რაოდენობის ზღვრული ოდენობა.

**რჩევა 5.3 სტანდარტთან მიმართებით:**

სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დახვეწისა და თანამედროვე ბაზრის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მიუხედავად იმისა, რომ კომისიისთვის ხელმისაწვდომ 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არ არის მოყვანილი პროგრამის გაუმჯობესების კონკრეტული რჩევები და/ან რეკომენდაციები, პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები და გაუმჯობესება რაც დასტურდება პროგრამის შემუშავების პროცესის ოქმებით, სადაც მოყვანილია პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის საჭირო რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც ასახულია პროგრამის კურიკულუმში, კონკრეტულ სილაბუსებში და პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში.

### **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებზე**

#### **წინასწარი განმარტება**

უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პასუხში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ნუმერაცია შეცდომით არის მოყვანილი. ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებები შეესაბამება „დასკვნაში“ მოყვანილი რეკომენდაციების თავდაპირველ ნუმერაციას.

#### **I სტანდარტი**

**რეკომენდაცია 1.** უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს რეკომენდაციას და თანახმაა პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტიდან ამოიღოს მხოლოდ სიტყვა „ატმოსფერო“ და დატოვოს „ჰიდროსფერო“.

**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია დაწესებულების პასუხზე:** პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნას მთლიანი ფრაზა - „ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს ჩათვლით“, ვინაიდან ჰიდროსფერო გაცილებით დიდი მცნებაა ვიდრე ჰიდროგეოლოგია. უკიდურეს შემთხვევაში ფრაზა ჩანაცვლდეს „ჰიდროგეოლოგიის ჩათვლით“. დეტალური არგუმენტაცია მოყვანილია წინამდებარე დასკვნის შესაბამის ნაწილში (იხ. გვ. 8).

**რეკომენდაცია 2.** უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას.

**რეკომენდაცია 3.** უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას.



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის პერიოდულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული და რა წვლილი შეაქვს ფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადი, კერძოდ პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს გეოლოგიის დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ფართო და ზოგადი ტეორიული და პრაქტიკული ცოდნა დედამიწის შესახებ;
- შეასწავლოს გეოლოგიური, გეოფიზიკური, გემოლოგიური, საველე და ლაბორატორიული კვლევის ტანამედროვე მეთოდები დედამიწის აგებულებისა და ნივთიერი შედგენილობის განსაზღვრისათვის;
- განუვითაროს სტუდენტს, საველესამუსაოების წარმართვის, კვლევის შესაბამისი მეთოდებით გეოლოგიური მასალის ლაბორატორიული დამუშავების უნარები სხვადასხვა პრობლემების გადაჭრისათვის;
- ჩამოუყალიბოს გეოლოგიური ამოცანების შესასრულებლად საწარმო პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები დედამიწის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესწავლის მიზნით, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს ცათვლით.

აღნიშნული მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და თანხვედრაშია პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან, თუმცა, პროგრამის მიზნის ბოლო პუნქტში ფრაზა “...ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს ჩათვლით” ამოსაღებია, ვინაიდან პროგრამა არ ითვალისწინებს ამ დისციპლინების სწავლებას, ხოლო ჰიდროგეოლოგია, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ კონცენტრაციას, არის ჰიდროსფეროს მცირე ნაწილი (~1.5%).

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი დამსაქმებლები. ინტერვიუს შედეგებითა და შესაბამისი დოკუმენტაციით დასტურდება დამსაქმებლების ჩართულობა და მათი კვლევის შედეგების გათვალისწინება სასახული პროგრამის განვითარების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგებით ასევე დასტურდება, რომ პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია. სამეცნიერო და საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, მათ შორის, აკადემიური და მონვეული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და მივლინებების საკითხებზე,

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის შესაბამისი სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. არსებული მოცემულობით, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებად მოაზრებულია უცხო ენის შემსწავლელი კურსები რომელიც ჩაშენებულია პროგრამაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა) რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა - კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის სხვა ისეთი აქტივობები იქნება მასში გათვალისწინებული, როგორცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის მისია და მიზანი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია უსდ-ს ძირითადი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა შესაბამისი დოკუმენტები და გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მონვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

ამოღებულ იქნას პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტიდან ფრაზა “...ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს ჩათვლით”.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროგრამაში გათვალისწინებული იქნება ისეთი მექანიზმი, როგორცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მონვევა და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
-
<b>შეფასება</b>
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>• შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის შედეგები ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გეოლოგიის სფეროს ფართო ცოდნით, აღწერს დედამიწის, როგორც ერთიანი სისტემის, ფორმირებისა და განვითარების ძირითად ტავისებულებებს, მასში მიმდინარე პროცესებს და ისტორიას;</li> <li>• შესაბამის თეორიებისა და პრინციპების გააზრებით განიხილავს ურთიერთკავსირს გეოლოგიის სხვადასხვა ქვედარგს შორის და აკავსირებს მოზიებულ ფაქტებსა და მოვლენებს;</li> <li>• განმარტავს ძირითად გეოლოგიურ ტერმინოლოგიას და განაზოგადებს დედამიწის წიაღში მიმდინარე პროცესებს, ასევე ინფორმაციას დედამიწის განვითარებისა და აგებულების შესახებ;</li> <li>• განასხვავებს გეოლოგიური კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების მიზნობრიობას;</li> <li>• იყენებს ტოპოგრაფიულ რუკებსა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საველე-გეოლოგიური სამუშაოებისა და ლაბორატორიული კვლევების დროს, შრომის უსაფრთხოების ზომების (პირობების) ჩათვლით;</li> <li>• ამუშავებს გეოლოგიის სფეროსთვის დამახასიათებელ მონაცემებს, მათ შორის, ახალ გეოლოგიურ სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;</li> </ul>

- აგებს სექმატურ გეოლოგიურ რუკებს, დიაგრამებს, გეოლოგიურ ჭრილებს და სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით აანალიზებს კამერალური და ლაბორატორიული კვლევებით მიღებულ შედეგებს;
- საველე-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების შედეგების და ეკოლოგიური მონაცემების შეგროვების საფუძველზე, აყალიბებს სათანადო დასკვნებს რთული და გაუთვალისწინებელი გეოლოგიური გამონწვევების საპასუხოდ;
- კონტექსტისთვის შესაბამის ფორმ(ებ)ით ახდენს საკუთარი მოსაზრებების/იდეების პრეზენტაციას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის;
- მსჯელობს გეოლოგიური დისციპლინების თეორიული დებულებებისა და პრინციპების გამოყენების შესახებ და მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში საველე და კამერალურ პირობებში.

**პროგრამით გათვალისწინებულია ორი კონცენტრაცია:**

- 1 - მყარი სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია, და
- 2- ჰიდროგეოლოგია.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლის შედეგების განახლება ხორციელდებოდა ეტაპობრივად და ეფუძნებოდა დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მონვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობას და ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს.

სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში, რომელიც ადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სტრუქტურასთან და ინდივიდუალური სასწავლო კომპონენტების კონტრიბუციას მათ განვითარებაში.

დანერგულია და ახლად აკრედიტირებული საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებისთანავე გაგრძელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაეყრდნობა, როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს, რაც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები შეგროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით ჩატარდება რაოდენობრივი გამოკითხვები პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და ფოკუს ჯგუფი პროგრამის დამსაქმებლებთან ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის კონცეფციის და პროგრამის განხორციელების შეფასების წესის მიხედვით. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და განალიზებული

მონაცემები აისახება საბაკალავრო პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მონვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა პროგრამის შეფასების საკითხებზე ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი და სწავლის შედეგების რუკა;
- დამსაქმებლების კვლევა;
- სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, შემუშავდეს და დაინერგოს დისტანციური ზონდირების შესავალი კურსი, რაც წარმოადგენს თანამედროვე კვლევების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

შემუშავებულია პროგრამის შეფასების ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	+			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

ესდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩარიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტუდენტის ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. ვინაიდან სტუ უფლებამოსილია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის დააწესოს განსხვავებული სწავლის საფასური, სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური ან წყარო, სადაც შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მოძიება.

თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა “გეოლოგია”;

<ul style="list-style-type: none"> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები;</li> <li>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<a href="http://www.gtu.ge">www.gtu.ge</a>).</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> -
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b>  ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, განსხვავებული საფასურის დადგენის შემთხვევაში, სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური ან სად შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მოძიება.
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> -
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</b> -
<b>შეფასება</b>  <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის” შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან (222 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტებისგან (18 კრედიტი). პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა);

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი უცხო ენის, მათ შორის პროფესიული უცხო ენის, შესწავლის შესაძლებლობას იძლევა და ამ მხრივ სტუდენტებს ფართო არჩევანი აქვთ. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესებიც, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში, სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს, ხოლო უცხო ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტების ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული კრედიტები, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო გეგმა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ([www.gtu.ge](http://www.gtu.ge)).

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და აღნიშნულ სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი



დოკუმენტის (ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს, აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამ შემთხვევაში კი, სასურველია, სტუდენტებს დანესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნული დარჩენილი კრედიტები, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** -

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს ყველა საგნის სილაბუსი, განსაზღვრული კურსის დასახელებით, კრედიტის რაოდენობით, კრედიტების შესაბამისი საათების გადანაწილებით სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობებით, მიზნებითა და შედეგებით. ასევე, დეტალურადაა განსაზღვრული სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები. სილაბუსების უმეტესობა გამართულია, თუმცა შესამჩნევია რამდენიმე ტექნიკური უმნიშვნელო ხარვეზი, როგორცაა კრედიტების არასწორად მითითება ან შეფასების კრიტერიუმების შესაბამის ქულებს შორის უზუსტობა. აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შენიშვნებზე საუბარი იყო აკრედიტაციის ვიზიტის დროს და პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ იქნება გამოსწორებული. აღსანიშნავია, რომ სასწავლო

კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს; ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ამავე დროს, რეკომენდირებულია სასწავლო კურსს “გეოლოგიის ეკონომიკა”, რომელსაც არა აქვს წინაპირობა და რომლის სრულფასოვანი ათვისებისათვის საჭიროა სტუდენტს უკვე ჰქონდეს გავლილ გეოლოგიის რიგი საკითხები, განესაზღვროს წინაპირობა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსიდან. აღნიშნულის განხორციელება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს კურსი თავად წარმოადგენს სხვა საგნის - “გეოლოგიის მარკეტინგი და მენეჯმენტის” წინაპირობას.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS) დღეისათვის წარმოადგენს პრაქტიკულად ყველანაირი გეოლოგიური კვლევის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსი “შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში”, რომელიც არის თავისუფალი კომპონენტებიდანარჩევითი, გახდეს სავალდებულო პროგრამის ორივე კონცენტრაციისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა “გეოლოგიის” კურიკულუმი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსს “გეოლოგიის ეკონომიკა”, რომელსაც არ გააჩნია წინაპირობა და ამავე დროს, თავად წარმოადგენს სხვა კურსის წინაპირობას, განესაზღვროს წინაპირობა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსებიდან.
- კურსი “შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში”, რომელიც ისწავლება თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში გახდეს სავალდებულო.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

გადაიხედოს სილაბუსები ტექნიკური ხარვეზების გასწორების მიზნით

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) : -**

## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა “გეოლოგია” უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც აუცილებელია გეოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის. შესაბამისად, კურსების ნაწილი, განსაკუთრებით სწავლების დამამთავრებელ სემესტრებში, ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის დავალებების შესრულებას, სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებელ მუშაობას და შესაბამისი ნაშრომ(ებ)ის წარდგენას ზეპირად ან/და წერილობით. დამამთავრებელი სემესტრების სტუდენტები, ასევე ჩაერთვებიან პერსონალის ხელმძღვანელობით მიმდინარე პროექტებში.

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს სავსე პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებისათვის სხვადასხვა კომპლექსური პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისკენ.

პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები არ ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს, მაგრამ არ ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.

სტუდენტები დამამთავრებელ სემესტრში შესაბამისი კონცენტრაციის ფარგლებში ასრულებენსაბაკალავრო ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს, როგორც სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის, ისე შექმნილი ძირითადი უნარ-ჩვევების დემონსტრირების ინსტრუმენტს. სტუდენტების საბაზო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის კორპუსში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი მთელი რიგი ლაბორატორიები მინერალოგიის, კრისტალოგრაფიის, პეტროლოგიის, გემოლოგიის, გეოქიმიის, ჰიდროგეოლოგიის და სხვა მიმართულებით სწავლებისა და კვლევებისთვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს ლაბორატორიული უსაფრთხოების წესები რომელსაც ეცნობა სტუდენტი ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მშენივრად მონყობილი, მდიდარი და უნიკალური კოლექციებით უზრუნველყოფილი მრავალრიცხოვანი სასწავლო-კვლევითი გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა მუზეუმები.

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- AGH მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების კრავკოვის უნივერსიტეტთან (5 წლით, გაგრძელების შესაძლებლობით);
- ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან (5 წლით);
- ათენის ეროვნულ ტექნიკურ უნივერსიტეტთან (უვადოთ);
- ჩეხეთის ოსტრავას ტექნიკურ უნივერსიტეტთან (5 წლით).

**თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია:**

- აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან;
- კომპანია “CMG”-სთან;
- გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან;
- კომპანია “გეოტექსერვისთან”;
- კომპანია “გროს ენერჯი გრუპთან”;
- კომპანია “აიღისი ბორჯომთან”;
- კომპანია “კავკასიის სამთო ჯგუფთან”;
- წულუკიძის სახ. სამთო ინსტიტუტთან;
- კომპანიებთან “არემჯი გოლდ” და “არემჯი ქოპერთან”
- კომპანია “საქნახშირთა”;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან
- წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა “გეოლოგიის” კურიკულუმი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თანამშრომლობის მემორანდუმები.

**რეკომენდაციები:**

-

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>მრავალრიცხოვანი მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ.</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე და შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლების საფეხურს. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში განერილია კურსების სპეციფიკის, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დემონსტრირება, წერითი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენება იმდაგვარად, რომ გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსი და სპეციფიკა, მოთხოვნები და სასწავლო კურსით მისაღწევი შედეგები.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა “გეოლოგიის” კურიკულუმი;</li> <li>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> -
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b> -
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> -
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</b> -
<b>შეფასება</b>  <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. საბაკალავრო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსი მთლიანობაში ფასდება 100 ქულით. თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესის შესაბამისობა კანონმდებლობასთან დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან ინტერვიუებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე მეთოდები. სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი</p>

კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკული დავალეების შესრულებას.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში, გამოხატავდნენ კმაყოფილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის, მათ შორის, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების, მიმართ. პროგრამის განხორციელების ფარგლებში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რაც დეკანის მონაწილეობით სპეციალური კომისიის მიერ სტუდენტის აპელაციის განხილვას გულისხმობს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მონწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
-----------	-----------------	----------	------------	---------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	+			

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია სტუდენტებისთვის. პროგრამის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესების თანახმად - სტუდენტი იღებს კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული, ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებული სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, დანესებულების მიერ ეფექტურად გამოიყენება პრაქტიკაში და მაქსიმალურად მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე. სტუდენტებისათვის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის უნივერსიტეტის ელექტრონული ვებ-გვერდის მეშვეობით, მარტივად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების, ღონისძიებების, აკადემიური აქტივობების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების თუ სხვა ტიპის მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. სასწავლო კურსების და აკადემიური/მონვეული პერსონალის არჩევის პროცესში



დანესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიენოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დანესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მონვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ხელშეწყობით ყველა ჩამოთვლილი სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. დანესებულებამ, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიკაციის მიზნით, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტებზე, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და თანამედროვე გამოწვევებზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დანესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის თანახმად, პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენის კურსები, სწავლების შესაბამისი დონეების მიხედვით. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე და მორგებული სტუდენტების ინტერესებზე. დანესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ პრაქტიკა თავიანთი ინტერესების შესაბამისად. პრაქტიკის წარმატებით გავლის შემთხვევაში, როგორც წესი სტუდენტების დასაქმება ხორციელდება უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების მიერ. პროგრამის შინაარსის და დისციპლინების სრულფასოვანად ასათვისებლად პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობა დიდია, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოიყენებას. შესაბამისად - უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს პროფესიული კომპონენტებით დატვირთულ სასწავლო კურსებს რომელთა მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში; გამოიშუაონ უმთავრესი, პროფესიისთვის აუცილებელი - უნარ-ჩვევები. პრაქტიკული კომპონენტების წარმატებით ათვისების შესაბამისად არსებობს შესაძლებლობა, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საველე სამუშაოებში და უკვე ნასწავლ დისციპლინებში ათვისებული ცოდნა გაამყარონ პრაქტიკული გამოცდილებით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემებით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, გეოლოგიის ფაკულტეტის სპეციალური ლაბორატორიებით, სხვადასხვა თემატიკის უნიკალური სასწავლო-კვლევითი მუზეუმებით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს თავიანთი პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები, დანესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში. სალექციო ცხრილი არის მოქნილი. დანესებულება ახორციელებს

წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსება/თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა, გაცვლით პროგრამებსა თუ სხვა ტიპის აკადემიურ აქტივობებში. სტუდენტები მონაწილეობენ, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული საკონფერენციო თემისები, სტატიები. დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს დაფინანსება/სტიპენდია პარტნიორ ორგანიზაციების თანადაფინანსებით. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის თუ სამეცნიერო პროექტის დასაფინანსებლად. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის საკმაო პრაქტიკა, ჩართულია "ერაზმუს +"-ის პროგრამაში, ყავს არაერთი საზღვარგარეთის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებსა და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით სამეცნიერო აქტივობებში. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე უწყვეტი ინფორმაციის მიწოდებას; კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას. უნივერსიტეტის მიერ, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის, ხორციელდება არაერთი პროექტი, რომელთა მეშვეობით, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, საჯარო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები, როგორც პოტენციური დამსაქმებლები მართავენ შეხვედრებს სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან და განიხილავენ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს/საჭიროებებს თავიანთი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- პროგრამის სილაბუსები;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან/ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://gtu.ge>).

**რეკომენდაციები:**

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b>
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ ფასდება
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: არ ფასდება

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
-----------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მონვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მონვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამა და პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. უნივერსიტეტმა წარმოადგინა “სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები” “ფაკულტეტის დებულება” და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების ამსახველი იფორმაცია, სადაც განერილია ფაკულტეტის წარმომადგენლების სამუშაო აღწერილობები და ინსტრუქციები.

აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხით, მიღწევებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური/მონვეული პერსონალი გარდა სასწავლო პროცესისა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ

სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის აკადემიური პერსონალიდან 24 პროფესორია, 21 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი. აღნიშნული აკადემიური პერსონალი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით. მონვეულია 1 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. აკადემიური და მონვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობისა. თანაფარდობა აკადემიურ და მონვეულ პერსონალს შორის არის 48/4, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მონვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, ერთ პროფესორზე - 3,5 სტუდენტი.

პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სრულ საშტატო ერთეულზე აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა შეადგენს 400 საათს, ხოლო ნახევარ საშტატო ერთეულზე 200 საათს. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, აკადემიური პოზიციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვანი წარმართვის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად და დატვირთვის სქემა ითვალისწინებდეს პერსონალის დატვირთვას და ვალდებულებებს სხვა დაწესებულებების მიმართ.

სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავებას და ახალი კადრების მომზადებას. მით უფრო, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს გეოლოგიის სადოქტორო პროგრამას და სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს დოქტორანტებისა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა ჩართულობის მაჩვენებელი სწავლების პროცესში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მონვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი მაღალკვალიფიკაციურობა დასტურდება გეოლოგიის დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო აქტივობებით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- აკადემიური და მონვეული პერსონალის ბიოგრაფიული ცნობები (სივ-ბი);
- პროგრამის კურსების სილაბუსები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, აკადემიური პოზიციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვანი წარმართვის, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად და დატვირთვის სქემა ითვალისწინებდეს პერსონალის დატვირთვის და ვალდებულებებს სხვა დაწესებულებების მიმართ.

სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავებას და ახალი კადრების მომზადებას. მით უფრო, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს გეოლოგიის სადოქტორო პროგრამას და სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს დოქტორანტებისა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა ჩართულობის მაჩვენებელი სწავლების პროცესში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის (აკადემიური/სამეცნიერო/მონვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად

წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“.

უნივერსიტეტში სისტემატიურად ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის შეფასება:

- საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმის) და შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) შემოწმება;
- საფაკულტეტო კომისიების მეშვეობით, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება.
- სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეჯამება და შეფასება.
- სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები.
- სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებითა და სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებული სამუშაოებისა და პროექტების შესრულების შეფასება;
- აკადემიური პერსონალის სტუდენტთა მიერ შეფასება.

ამავე დროს, სასურველია სტუდენტების მიერ ლექტორთა შეფასება განხორციელდეს თინაღურ გამოცდებამდე, რათა გამოცდების შედეგებმა არ შეუწყოს ხელი სუბიექტურ განწყობებს და არ იქონიოს შეფასებაზე გავლენა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიურ ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო, შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში; მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. როგორც ინტერვიუების მსვლელობისას გახდა ცნობილი, უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს რეოგანიზაციას პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, რომლის ერთ-ერთი მიზანია ცენტრალური სამსახურის ჩამოყალიბება სამეცნიერო კვლევებისა და პროექტების მხარდაჭერის მიმართულებით. აღნიშნული სამსახურის მიზანია ხელი შეუწყოს ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარებას, დახმარება გაუწიოს აკადემიურ და მონვეულ პერსონალს საკონკურსო და საგრანტო პროექტების მომზადებაში და უზრუნველყოს სხვა სახის ტექნიკური მხარდაჭერა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

<ul style="list-style-type: none"> <li>• „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:-</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b></p> <p>სასურველია სტუდენტების მიერ ლექტორთა შეფასება განხორციელდეს ფინალურ გამოცდებამდე, რათა გამოცდების შედეგებმა არ შეუწყოს ხელი სუბიექტურ განწყობებს და არ იქონიოს შეფასებაზე გავლენა.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>უსდ-ში სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფის ჩამოყალიბება სამეცნიერო აქტივობების მხარდასაჭერად.</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით (მათ შორის, ლაბორატორიებით, სასწავლო-კვლევითი მუზეუმებით); სტუდენტებს აქვთ წვდომა მინერალოგიურ, გემოლოგიურ, კრისტალოგრაფიულ, გეოქიმიურ, საინჟინრო-გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და სხვა სასწავლო ლაბორატორიის რესურსებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ და საველე კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით.</p> <p>ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც</p>



მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს:

- სამკითხველო დარბაზებს;
- ჯგუფური მუშაობის სივრცეებს;
- მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს;
- კომპიუტერულ რესურსცენტრებს;
- შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს;
- წიგნსაცავებს და სხვა.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა თუ სხვა ტიპის სივრცეებში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი და ახორციელებს აღნიშნული ფონდის მუდმივ განახლებას. ფონდში დაცული სახელმძღვანელოები აციფრულია, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს იხელმძღვანელონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. აღნიშნული ფონდი საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას.

ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის “რიდერის” დამზადებას, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ელექტრონული რესურსები განთავსებულია შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია გარკვეული საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკა საუნივერსიტეტო საზოგადოებას ასევე სთავაზობს საერთაშორისო ექსპერტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით სხვადასხვა ტრენინგებს, სამუშაო და საორიენტაციო შეხვედრებს, რომელიც ხელს უწყობს მათი ცნობიერების ამაღლებასა და უნარების გაუმჯობესებას ისეთ საკითხებში, რომელიც მნიშვნელოვან წილად დაეხმარება მათ სხვადასხვა აკადემიურ პროცესებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მიზანშეწონილია ფაკულტეტს ჰყავდეს შესაბამისი ავტორტრანსპორტი საველე პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი აქტივობებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა შესაბამის ხარჯებს.

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ ტექნიკური რესურსების გაახლებას, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება სასწავლო ლაბორატორიებით და სასწავლო-კვლევითი მუშეუბებით.

ფაკულტეტს და პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების განწევა. პროგრამაში ჩართული პროფესორები და მკვლევრები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან აგრეთვე ხდება კვლევისა და სწავლისათვის საჭირო რესურსების შექმნა.

მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის შემოსავალი, რომელიც წლიურად 80 000-100 000 ლარის ფარგლებშია და ხმარდება აკადემიური პერსონალის ხელფასებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღებას, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებას, სტუდენტური ექსკურსიების და პრაქტიკების ჩატარებას, სტუდენტთა კვლევის კომპონენტს, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების და პრაქტიკულების გზამკვლევის ბეჭდვას.

წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 147 სტუდენტზე. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის “გეოლოგია” ბიუჯეტი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მონწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ავტოტრანსპორტის შეძენის და შესაბამისი საექსპლუატაციო ხარჯები

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**  
-

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	+			

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადანწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ - გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შეიმუშავებს.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს თითოეული ციკლის ფარგლებში შესასრულებელ მიმართულებებს. გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მონვეული პერსონალი. მათი გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები - გამოიყენება, პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები; კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

## შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება - განიხილავს და შესაბამისი უკუკავშირის მიღების შედეგად ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს უწყობს გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფას, პროგრამის დახვეწას, განვითარებას, პროგრამის ბაზრის მოთხოვნების დანერგვას და დაკმაყოფილებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება, პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე იწვევს დარგის სპეციალისტებს, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ცდილობს მაქსიმალურად ასახოს/გაითვალისწინოს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამაში. უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებას წარმოდგენილი აქვს გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტთა შეფასებები; დანესებულება ორიენტირებულია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არსებული სტანდარტების ცვლილებების შესაბამისად მოახდინოს რეაგირება და მოიყვანოს პროგრამა სრულ შესაბამისობაში დადგენილ სტანდარტებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტები;
- შეხვედრების დროს ჩატარებული ინტერვიუ.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** -

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ “გეოლოგიის” საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პერიოდულად პროგრამის განმახორციელებელი ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც გამოიხატება შესაბამისი ინფორმაციის სისტემური შეგროვებით, დამუშავებითა და ანალიზით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ექსპერტების მიერ, პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების მოქნილობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით, კმაყოფილების განსაზღვრის მიზნით. უნივერსიტეტის მიერ, პროგრამის შიდა შეფასების შედეგები განისაზღვრება და გამოიყენება შიდა თვითშეფასების ანგარიშის ანალიზისთვის და შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ უკუკავშირი განიხილება, პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე, გადამწყვეტილების მიღებისას - პროგრამის მოდიფიკაციის - ცვლილებების განხორციელების დროს. აღსანიშნავია, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ე.წ. სასწავლო ბადის მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ არ არის განხორციელებული წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან ურთიერთმიმართებით, რაც პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნებისთვის ხორციელდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებსა და კურსდამტავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება - პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დახვეწისა და თანამედროვე ბაზრის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------



სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			
--	---	--	--	--

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: გეოლოგია, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	+			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	+			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	+			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

არჩილ მაღალაშვილი -

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: კახა ქოიავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თათია უბერი